

რედაქცია: სოლოლაკზე, სერ-გიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში. № 8.

კანტორა რედაქციისა: სერ-გიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ხელის-მწერა მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакцію газ. „Дროага“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროეპი

ცალკე ნომერი ღირს შაშრატი

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ანონებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცი-ცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

სრულიად აწყობილი გაზეთის ოთხივ ვეპარდი, დამგვიჯდავის უხი-რობით, დაიკნა საგამგაგ მაშინაჟედ და ამის გამო გუშინ, სამშაბათს, გაზეთი არ გამოსულა.

## ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ჟეპსე, 27 ივლისს. ზუშინ დაბა ჟეპსესთან პესტრიის ჯარების ორ ბრიგადას ჰქონდა შეტაკება აჯანყებულების 6,000 კაცთან, რომელთაც 4 ზარბაზნი ჰქონდათ. პესტრიელებმა დაამარცხეს ისინი, დაატყვევეს ერთი ბატალიონი ნიზამის ჯარი 6 აფიცრით და ოთხი ურემი სხვა-და-სხვა საომარი მასალა. პესტრიელების მხრით მოკლულია 58 კაცი, სხვათა შორის პოდპოლკოვნიკი ძუბან.

მენა, 27 ივლისს. საღამოს 7 საათზე, გუშინ, პესტრიის ჯარმა აიღო დაბა ჟეპსე. მაჰმადიანი მცხოვრებლები გაიქცნენ. 700 კაცია ტყვედ აყვანილი.

ოღმსა, 31 ივლისს. ატარა ხომალდზე „სულიანაზე“, რომელიც ნიკოლაევში მიდიოდა და რომელიც იქ დ. მ. ძაღსტანტინე ნიკოლოზის ძეს უნდა დაეხედნა, გასქდა საორთქლე ქვაბი და მოკლა გამოჩენილი ზღვის აფიცერი რაქდენსტენსკი, 3 მაშინისტი და 2 უნტერაფიცერი.

მენა, 31 ივლისს. ჟეპსესთან დამარცხების შემდეგ გაქცეული აჯანყებულები სარაევოს მახლობლად გამაგრდნენ. ჟეპსესთან ბრძოლის დროს ერთი აფიცერი მოჰკლეს პესტრიისა და ბევრი სალდათები; დაჭრილია 6 აფიცერი და 140 სალდათი.

ლონდონი, 29 ივლისს. ლონდონის გაზეთს „აილი ნეუსში“ იწერებია დეპეშით სტამბოლიდან:

„ბათუმის მაზრის ხალხი დაიარაღებულია და წინააღმდეგობის გაწევას უპირებს რუსის ჯარს, როცა ის ბათუმის დაჭერას მოინდომებს; ადგილობრივი აჯანყებული ხალხის მოთავეებს მოლაპარაკება

კება ჰქონდათ გასულ ოთხშაბათს და გადაწყვიტეს, რომ ნება-ყოფლობით, უბრძოლველად არ შემოუშვან რუსის ჯარები ბათუმში. 2,000 (ორი ათასი) დაიარაღებული მთის ხალხი ჩურუქსუს სამზღვარზედა დგას. ოსმალოს არმია გაჩუმებულია. საზოგადოთ ხალხი ძალიან აღელვებულს მდგომარეობაშია.

სტამბოლი, 28 ივლისს. სამხედრო რჩევამ არტაანის კამენდანტს საბრიფაშას ამ ციხის დათმობისათვის გარდაუწყვიტა ყველა ჩინებისა და ღირსების ჩამორთმევა და სამი წლის ვადით საპრობილეში დამწყვედა.

რომი, 28 ივლისს. ემა არის, რომ კარდინალი ნიპა დაინიშნება ახლად-მიცვალეულის რომის პაპის სახელმწიფო სეკრეტრის ძრანკეს ადგილზე. ამბობენ, რომ ნიპა ძრანკეს პოლიტიკის კვალზე გაივლისო.

პეტერბურდი, 29 ივლისს. ამ ქამად აქ ჩინებული დარებია.

მენა, 28 ივლისს. უგზო-უკვლოდ დაკარგული 25 გუსარი დაბრუნდნენ თავიანთ პოლკში; ამ ქამად 45 გუსარია კიდევ დაკარგული.

ლონდონი, 28 ივლისს. რუსის ჯარებმა მარნაში შესვლა დაიწყეს.

მენა, 28 ივლისს. პესტრიის არმიის მეშვიდე დივიზიამ, რომელსაც შირტემბერლის ჰერცოგი მოუძღოდა წინ სარდლად იაიცეს მახლობლად (ბონსიაში) დაამარცხა აჯანყებულები. ბრძოლა ცხრა საათს გაგრძელდა, რომლის შემდეგ აჯანყებულები ყველა მხრით იყვნენ განდევნილნი. გამაგრებული ქალაქი პიაცე პესტრიის ჯარებმა აიღეს.

პეტერბურდი, 28 ივლისს. „მმართველობის მოამბეში“ დაბეჭდილია დღეს ბერლინის ტრაქტატი.

პეტერბურდის ბირჟა, 31 ივლისს. (ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები: მან. კაპ. პირველი გამოცემის — 97 — 5

მეორესი	— — — —	96—37
მესამესი	— — — —	96—25
მეოთხესი	— — — —	95—75
აღმოსავლეთის	— — — —	95—75
ოქრო, 1/2 იმპერიალი	— — — —	7—73
მთელი. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი	— — — —	„ — „
შინაგანი 5% სესხის ბილეთები:		მან. კაპ.
პირველი სესხის	— — — —	235—25
მეორე სესხის	— — — —	235—50

1 მანეთი ღირს:

ლონდონი	— — — —	25 — „ პენსი
ამსტერდამი	— — — —	127 — „ ცენტი
ბერლინი	— — — —	215—50 ჰჭენიგი
პარიჟი	— — — —	264—50 სანტიმი

## საქართველო

დღიური

\* \* \* ამბობენ, რომ, რადგან ომიანობის შიში მოისპოვო, ამის გამო იმ მილიციონერებს, რომელნიც ამ მოკლე ხანში მოკრიბეს მთელი სისა და მუთაისის გუბერნიაში, მალე დაითხოვენო.

რალა თქმა უნდა, რომ ეს გარემოება ძალიან სასიხარულოთ დარჩება, როგორც თვითონ ამ მილიციონერებისათვის, რომელთაც ბევრი მუშაობა მოელოს ამ ქამად თავიანთ სახლევში, აგრეთვე ამათ შრომლებისა და ცოლ-შვილისათვის.

\* \* \* ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ მოხსენებული, რომ ბათუმის ატრიალის უფროსმა დერეჟ-ფაშამ გამოგზავნა ჩვენს მთავრობასთან პოლკოვნიკი ჰასან-ბეი ბათუმის დათმობის თაობაზედ მოსალაპარაკებლადო. ბაზეთი „მბზორი“ გვაცნობებს ახლა, სხენებული ჰასან-ბეი დ. მ. ძაქასის ნამესტნიკმა ვერ მიიღო ბორჯომში და ბათუმის თაობაზედ იმასთან არაეის მოლაპარაკება არ ჰქონიაო, რადგან იმას არ წამოელო თან არავეთარი რწმუნებითი წერილი, რომ



იმას ეს საქმე აქვს მიწოდებული. ამის გამო ის მსმალს პოლკოვნიკი ისევე უკან დაბრუნებულა და ბათუმის დათმობის საქმე დროებით ისევე შეჩერდა.

\* \* \* ჩვენ შევიტეთ, რომ ამ აგვისტოს 15-დამ ოფილისის გუბერნია აღარ იქნება „სამხედრო მდგომარეობაში“, ე. ი. სამხედრო კანონები აღარ იმოქმედებენ აქ. მუთათისის გუბერნია კი, როგორც ისმის, ჯერ-ჯერობით ისევე სამხედრო მდგომარეობაში დარჩება.

\* \* \* ოფილისის მოამბე გეაცნობებს, რომ ამ ჟამად ჩვენს ქვეყანის არმიის სამოცამდინ ჩინოვნიკი ინტენდენტის უწყებისა სამხედრო სამართალში არიან მიცემულნი სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედებისა და სახანო ინტერესის დაზარალებისთვისაო.

მეტი არა?!

\* \* \* მუთათისიდან გვწერენ, რომ ქაური თავადებსა და აზნაურებს შუა ძალიან დიდი უკმაყოფილება არის ამ ჟამად ჩამოვარდნილი იმის თაობაზედ, რომ იმ პირთ (თავადებთ), რომელთაც მილიციონერების თაოსნობა აქვთ მიწოდებული, გვერდი აუვლიათ დამსახურებულ აზნაურებისათვის და აფიცრობისა და სხვა თანამდებობის ადგილები ახლად-მოკრებილს მილიციებში მხოლოდ თავადებისათვის დაურიგებიათ.

აზნაურები ამბობენ თურმე, რომ კანონით ჩვენსა და თავადებს შუა გარჩევა არ უნდა იყოს, ვინც დამსახურებული ვართ, ადგილი უნდა მოგვეცესო და დაუმსახურებელ, სამხედრო საქმის უცოდინელ თავადებთან ჩვენ უპირატესობა უნდა გვექონდესო და სხვ. და სხვ.

თავადები კი ამის პასუხად ამას ამბობენ თურმე, რომ სუდიები თქვენა ხართ, ნოტარიუსები თქვენ ხართო, რედაქტორობა თქვენო, ყველაფერი თქვენო და ეს ერთი ადგილი ვიშოვნეთ და ესეც თქვენ მოგცეთო?!

ასე კი ჩნებობენ და ესაყვედურებიან თურმე ერთმანეთს მუთათისის გუბერნიის თსვადები და აზნაურები!

მაგრამ ამით მალე გააზავებენ, მოარიგებენ ერთმანეთში: როგორც ზეითაც არის მოხსენებული, ამბობენ, რომ მილიციონერებს მალე თავ-თავიანთ სახლში დაითხოვენ, რადგან ომის ატეხას ხელ-ახლად აღარ მოელოდნენ, და ამის გამო აღარც აფიცრები, აღარც კანონები და აღარც სხვა „შემოსავლიანი ადგილები“, რომლებსთვისაც ახლა თავს იკლავენ, აღარ იქნება საჭირო...

\* \* \* ბურიიდან გვწერენ, რომ სხვათა შორის ნაგომრობას (სოფ. ნაგომრის იანოშკაზე) ყოფილა ერთი მუთათისელი ურია, რომლისთვის ვიღაც გურულს ფულები შეუმცნევია და უთქვამს, რომ

თათრული ოქროები შექმნეს დამალული და თუ გინდა მოგყიდო. ურია, რასაკვირველია, დახარბებულა და წაჰყოლია. ბურულს წაუყვანია ის სიმინდის ყანაში, ამოუღია დამბაჩა და იქვე მოუკლავს. რაც ფული ჰქონია, ამოუცლია ჯიბიდან და გაქცეულა.

ამ საგნისვე შესახებ მოგვივიდა ჩვენ მეორე წერილი, რომელშიაც საქმის გარემოებას სხვა ნაირად იწერებიან: ვითომ გურულს ეთქვას ურისათვის, რომ კონტრაბანდის საქონელი მაქვს გამოტანილი და იაფათ მოგყიდი, ფული ბლომათ წამოიღეო. დასასრულს ამ საქმისას კი ორივე ჩვენი კორრესპონდენტები თანხმად იწერებიან: ურია მოკლა გურულმა, ფულები ამოაცალა და თვითონ სადღაც დაიმალო.

„დროების“ კორრესპონდენცია

ქართლიდან, 26 ივლისს. სოფ ხურვალეთი ბორის მაზრაშია, ბორიდან 20 ვერსზედ მოშორებული.

როგორც ყოველივე ნაწყვეტი ჩვენი მშვენიერი საქართველოსა, ეს სოფელიც შესანიშნავია თავისი სილამაზით, სიკონტრავით. შევლგან რომ მზის შეებრალებელი სხივები ისარივით ჰგმირამდნენ ადამიანის სუსტ აგებულებას, აქ თქვენ მოელოდეთ სრულიად წინააღმდეგს: „ხურვალეთი“ არა „ხურს!“ აქ

ფელტონი

ხალხის არმულობა აბხაზეთში

(ზარბაზნაძე) \*

12 აპრილს გამოცხადდა ომი და 15 აპრილს ბუდაუტიდამ გამოვიდნენ ყველა მოსამსახურე პირები, ისე რომ ბუდაუტის მცხოვრებლები დარჩნენ სრულიათ თავისუფალნი. აბხაზეთში რომ დაინახეს თავიანთი ამ გვარი მდგომარეობა, მოიყარეს თავი, დაეცნენ ბუდაუტს, გატყვეს რამდენიმე უსინდისო მელუქნეების სახლები, რომელნიც სკარცვადნენ იმათ და დაბრუნდნენ თავიანთთინ.

მართალია, ამ დუქნებში და სახლებში არაფერი იყო ტიტველა კედლების მეტი, მაგრამ მაინც ამ გვარ მოქმედებას უყურადღებოთ ვერ დატოვებდნენ: ამიტომ იქ გაგზავნილმა შტაბს-კაპიტანმა ტიტო მარლანამ 100 კაცი მილიციონერებით, მოსთხოვა მცხოვრებლებს, რომ რაც შეიძლება მალე გამოეჩინათ დამნაშავე პირნი.

ამის თხოვნამ უბრალოდ ჩაიარა, პირველათ იმიტომ, რომ აბხაზეთს ტიტო მარლანისა არ ეშინოდათ, როგორც აღმისტრატული პირებისა და მეორეთ,

\*) „დროება“, № 152.

რომ ვერ მოიხმარდა ძალას, რადგან აბხაზელი მილიციონერები თავიანთ მოძმეების წინააღმდეგ არას დროს არ წვიდოდნენ. ამას გარდა იმ ასს კაცში მარლანის მარტო 25 ჰყავდა თავისთან, რადგან ბრძანება ჰქონდა, რომ თავისი მილიციით იმას უნდა დაეფარა ზღვის ნაპირები, ე. ი. პსირცხუ, ბუდაუტი, პიჭინტა და შავრა. ასი კაციდამ თითო ადგილის დასაფარავათ უნდა დაეტოვებინა ოც-ოცი კაცი მაინც.

ტიტო მარლანამ ყველაფერი დაწერილებით უამბო მაზრის მთავარს, რომელმაც გაგზავნა თავისი თანაშემწე ამ საქმის გამოსაკვლეველათ; იმას უნდა დაეტუსალებინა დამნაშავეები, და გადაეხდევინათ ჯარიმა ორ ახლო მდებარე სოფლებისთვის 2,000 მანეთი.

რაცა მაზრის თანაშემწე მოვიდა ასი შეიარაღებული ყაზახით და გამოუცხადა მთავრის სურვილი, ხალხმა უსიამოვნოთ მიიღო და ხალხისაგან გამოგზავნილ პირებმა გამოსთქვეს შემდეგი:


„თუმცა მართალია, რომ ზოგიერთმა ლიხნის და მუღანურხის საზოგადოების და ბუდაუტის ახლო-მახლო მცხოვრებ პირებმა მოახდინეს ეს საქმე, მაგრამ როგორ შეიძლება, რომ მთელ მცხოვრებლებს აბრალებთ? ჩვენ არ შეგვიძლიან არ ავასრულოთ მთავრობის ბრძანე-

ბა, მაგრამ მაინც უფრო სამართალი იქნება, რომ როცა იმ პირებს, რომელთაც აიკლეს ბუდაუტი, გამოეჩინეთ, ჩვენ მოგვეცეს ნება გაეყიდოთ მათი მამული და რაც აქვთ და ამით დავაკმაყოფილოთ მთავარის სურვილი. წინააღმდეგ შემთხვევაში მზათა ვართ ჩვენ თვითონ გადავიხადოთ ეს ვალი, ოღონდ ჩვენ გავანთავისუფლოთ ეჭვისაგან.“

ამ გვარი ლაპარაკის შემდეგ, აბხაზეთს, რომელნიც შეიარაღებული იყვნენ ხანჯლებით (ლეკურით) და ლიდრონი კეტებით, უნდა სიფრთხილით მოქცეოდნენ. თავის სურვილის სისრულეში მოყვანისთვის და სარგებლობისთვის, როგორც შეეცება მთელს ხალხს, აბხაზი მზათ არის მოიხმაროს ყველა ღონისძიება და ოღონდ კი ერთმა კაცმა მისცეს მაგალითი და მთელი ხალხი მიჰყვეა. შევლა აბხაზები იმას ამბობენ:

„ჩვენ მართალი ვართ და ვთხოვლობთ სამართალს და სიმართლეს!“

თუ კი ძალა იხმარე, ის ჩუმათ დაგემონავენა, მაგრამ ნუ გგონიათ, რომ იმისმა სიჩუმემ მშვიდობიანათ ჩაიაროს: ის ყოველთვის ათას ნაირ სამაგიეროს გადახდას მოინდომებს. მაგრამ, თუ ამგვარ შემთხვევაში მოეკიდე იმას ძმურათ, მშვიდობიანათ, ის საუკუნოთ შენი ყურ-მოჭრილი ყმა.



ისრე გრილა, რომ ზაფხულშიაც თბილი ტანისამოსი გვიჩვენებთ. მოკლეთ რომ ესთქვათ, ეს არის ნამდვილი საზაფხულო ადგილი.

მაგრამ დალოცვილ განგებას უნაკლულთ ხონ არაფერი არ დაუარსებია ამ ცოდვილ დედამიწაზე; აქ მდინარე წყალი პატარა ჩამოდის, რომლის ნაკლულევიანებაც სოფელს აშკარათ ეტყობა: ვენახებს ვერ ნახათ იმდენს, რამდენსაც უნდა მოველოდეთ ქართველებისაგან. მაგრამ ნაცვლად ამისა მშვენიერი, ყინულზედ უცივისი წყაროები არ აკლია ამ სოფელს.

როგორც ყოველ ზაფხულობით სხვები, წელსაც აქ პოლკოვნიკი პ. შ. ბუჭყიფი დაბარებულა თავის სალდათებით; თეთრს კარავებს, ზარბაზნებს, სხვა და სხვა სამხედრო იარაღებს და სალდათების მოძრაობას სამხედრო სახე დაუდგია ამ მყუდრო სოფლისათვის. შუალი ბუჭყიფი თავის ამალით დაბანაკებულია აქაური მცხოვრებლების მალალოვების, შხაძეების და შარუმიანთ ადგილებზედ.

თუმცა ფული სათივისა გროშიც არ მიუღიათ ჯერ ადგილის პატრონებს, მაგრამ რა საჭიროა ფული, როცა სხვა უფრო კარგი და პატიოსნური სასყიდელი ეძლევათ: მდგმური ჰპატივებს ამით ქალებსა და ყმაწვილ კაცებს, საზაფხულო კარავებში დროებას ატარებინებს, პატივსაც სცემს და ეს დიდი განათლებაა არა თუ სოფელს ადგილს, ქალაქშიაც...

„ღიდს სიყვარულს დიდი სამდურაფი მოსდევსო,“ იტყვიან; თუმცა პოლკოვნიკმა ხალხისადმი სიყვარული დაამტკიცა იმდით, რომ ძვირფასი ბალი-ვეჩერი

გამართა; მაგრამ მეორე დღეს, თითქო დანახარჯი უნდა აინახლაუროსო, სოფელს საკუთარი მდინარე წაართვა ამან, საქონელს წყალს აღარ ალევინებდა. მაიმართა ჩხუბი, აყალმაყალი; პატრონებმა კარგა-მარა შემოუტყეს მოძალეს და პოლკოვნიკი დამშვიდდა, დაწყნარდა და დაუთმო.

...მაგრამ ერთი მხრით რომ ვთქვათ ამ სოფელს პატივცემულ პოლკოვნიკმა კარგი სარგებლობა მოუტანა: სალდათებს ნება მისცა, სასოფლო საქმეს აქეთებენ და ხალხიც მადრიელი არის და სალდათებიც სარგებლობენ. ამბობენ, თითონ პოლკოვნიკს ამილახვრიანთ თივები გაუთიბინებია სალდათებისათვის, 90 კაცი უმუშავებია ერთ ფეცსა, 540 მანეთი მიუცია სალდათებისათვის (დღეში აბაზი მოუვათ თითო სალდათს). თურმე სალდათები ასრე იფათ არა მუშაობდნენ, რადგანაც სახელმწიფო საქმე არ იყო, მაგრამ პოლკოვნიკმა გამოუცხადო, რომ ოღონც ერთი თვე ამილახვრიანთ თივები სთიბეთო და მერვე ნებას მოგცემთ სხვაგან იმუშაეთო, და ამისათვის ამუშავებს ამ სალდათებს სასოფლო საქმეზედ. მსეც კარგია ამისგან; მაგრამ, ამბობენ, აქაც დაფარული საიდუმლოა: ის თივა, რაც სალდათებს გაუთიბინათ, თურმე ნახევარი თვითონ ბუჭყიფისა არის და ნახევარი ამილახვრიანთი; თუ 540 მანეთი დაუხარჯამს ბუჭყიფეს, სამაგიეროთ 22 ძირი თივა თავის წილი სულ იფათ ღირს 3,000 მანეთი.

ზორელი

29 ივლისს.

წარილი რედაქტორის მიერ

ბატონო რედაქტორი! თქვენს ბატონო რედაქტორის „დროების“ 141 №-ში იყო დაბეჭდილი კორრესპონდენცია სოფელ მეჯვრისხევიდან გაგზავნილი. ამ კორრესპონდენციაში, როგორც მოგესხენებთ, იყო აღწერილი ს. მეჯვრისხევის საზოგადოება.

ახლა ჩვენ გავიგეთ, რომ ამ კორრესპონდენციას დიდი ღელვა და ალიაქოთი მოუხდენია ხსენებულს კორრესპონდენციაში ნათქვამ საზოგადოებაში. დიდათ თურმე სწეინ ამათ ასე აშკარათ გამოფენა იმ ცუდი თვისებებისა, რომლებიც მათ თვალ წინ წარმოადგენენ, როგორც სარკეში. დიდი კრება და კონგრესებია თურმე ამ საზოგადოებაში: ქალები ერთათ თურმე იკრიფებიან ამ კონგრესზე და ვაჟები ცალკე დიდი ბაასი და მოძრაობა თურმე არის ამ კონგრესებზე. ძალების თავსმჯდომარეთ არის თურმე ამორჩეული ქორინი N და ვაჟების თავსმჯდომარედ ჩვენი ლიბერალი აზნაური X.

ბოლოს გამოაშკარავებულა თურმე, რომ ამ კონგრესებზე ბაასის და ხანგძლივი მსჯელობის საგნათ ყოფილა მეჯვრისხევის სასოფლო შკოლის მასწავლებელი, რომელზედაც ეჭვი მიუტანია აქაურს საზოგადოების, მითომც ამან დასწერა ეს კორრესპონდენცია.

თქვენ კარგათ მოგესხენებთ, რომ ეს კორრესპონდენცია არ დაუწერია მეჯვრისხევის მასწავლებელს. კორრესპონდენტს რომ ბოლოს თავისი გვარის მაგიერათ „ჭაღელი“, „ზორელი“ ან

თანამემწემ შეატყობინა ყველაფერი, რაც აბხაზებისაგან ჰქონდა გაგონილი, თავის უფროსს, რომელიც თითონ მოვიდა 27 აპრილს ორასი ყაზახით და ძულანაუზების მცხოვრებლებს გადახდევინა ჯარიმა 960 მანეთი და ლიხნელებს 1,000 მან., სულ 1,960. შემდეგ გამოაჩინეს დამანაშავეები 30 კაცამდინ. მაზრის უფროსის ამ გვარმა ქცევამ ძალიან აღელვდა აბხაზები, ჩანერგა მათში შაში და აგრძობინა მათ, რომ იმ გვარი ქცევა არ ჩაიღლის უყურადღებოთ და რომ რუსებს სრულებით არ დაუტოვებიათ ისინი თავისუფლათ, როგორც აღრე ყვონათ.

ამ შემთხვევის ორი დღის შემდეგ მოვიდა ტიტო მარლანია და შეატყობინა მაზრის უფროსს, რომ ზღვაზე გამოჩნდნენ მსმალოს ჯაგშიანი ხომალდები.

30 აპრილს, დილაზე, მოუახლოვდა აბხაზეთის კადებს ექვსი მსმალოს ჯაგშიანი ხომალდი. ამ დროსვე მოვიდა აბხაზეთში ახლო სოფლიდან ლერიპშიდამ აბხაზელი აზნაური ჰუსსეინ მამერიბა ლაკერბაი.

მს კაცი შესანიშნავია. მთელს აბხაზეთში ის პატივცემული იყო და ხალხს იმის ნდობაც ჰქონდა. შეელა იმის სიტყვასა და ჩივეს გაელენა ჰქონდა ხალ-

ხზე. მინმე ყოფილიყო აბხაზეთში და არ შეველო ჰუსსეინ ლაკერბაისთან, ძალიან დიდი შეცოდება იყო. იმის სტუმართ-მოყვარე ხალხი ყველასთვის ღია იყო, მას შემდეგ რაც იმან მიიღო ქრისტიანის სარწმუნოება, ის შეიქნა მორჩილი ყმა რუსის მართებლობისა და ძალიან ბევრსაც შეელოდა რუსებს. ამას გარდა, თითქმის ამ პატივცემულ კაცის შემწეობით გავრცელდა აბხაზეთში ქრისტეს სარწმუნოება.

როცა ლაკერბაიმ შეიტყო აბხაზების აღელვება და ოსმალოს ხომალდების გამოჩენა ზღვაზე, გულმა ვერ მოუთმინა, მიატოვა თავის ოჯახობა და გამოეჩქარა ლიხნაში და იქ მოინახა მისთვის მინდობილი პირები, რომლის რიცხვში იყვნენ ქრისტიანის მღვდლები: დავით ახვლედიანი, ივანე ბეგია და იერომონახი ბესარიონი.

—ბული მიკვდება, სთქვა ლაკერბაიმ, რო ვხედამ აბხაზეთი იღუპება. ის საუკუნოთ დაიღუპება, თუ მაზრის უფროსმა არ გამოითხოვა სოხუმიდამ რაც შეიძლება მომეტებული ჯარი. აბხაზები მზათ არიან დამალონ თავიანთი სახლობა მთებში, რუსებს შეუერთდნენ და ეომონ მტერს; მაგრამ თუ მაზრის უფროსი დაგეტოვებს უყურადღებოთ, მაშინ

ძალდატანებული ვიქნებით დავემორჩილოთ და შეუერთდეთ მსმალებს.

ბევრი ამ გვარი აზრები იყო გამოთქმული ჰუსსეინ ლაკერბაის-ნაირ პირებისაგან; მაგრამ არცინ იცის—რატომ ეს ჰაზრები არ იყო ყურადღებაში მიღებული...

როცა ლაკერბაი ამას ელაპარაკებოდა ხალხს, ამ დროს მივიდა შახან-ზეამბაია, წამოიყვანა ცალკე ჰუსსეინი და უთხრა:

—ჩვენი საქმე ცუდათაა: ხომალდით მოვიდა დღეს შაზეკ მარლანია და თავის ნათესაეთან ხირიპსი მარლანიასთან ჩამოხტა. ხირიპსი მარლანია წარუდგინა ფაშას. შაშამ რჩევა ჰკითხა—თუ როგორ უნდა მოიქცნენ. ხირიპსიმ უთხრა, რომ აბხაზებთან მოლაპარაკება და შემწეობის თხოვნა ძალიან ძნელია, რადგან მომეტებულ ნაწილს რუსების მხარე უჭირავთ და მცირე ნაწილს ეშინიან ყაზახებისა, რომელნიც ეხლა იმყოფებიან ლიხნაში. შაშა მოიგებს საქმეს, თუ ეხლაე უბრძანა, რომ ბუღაუტს დაუწყონ სროლა. მაზრის უფროსი მიატოვებს ბუღაუტს; ამ დროს შაზეკ მარლანია თავისი ამხანაგებით გამოუდგეს უფროსს და დახოცონ ყველანი.



სხვა ადგილები დაწერა „მეჯვრისხვევლის“ მაგიერათ, მაგონი მაშინ ველარ დასწამებდნენ მეჯვრისხვევის მასწავლებელს ამ ცილსა!

ზადასწყვიტეს თურმე, რომ ისეთ ადგილას სცემონ ხსენებულს მასწავლებელს, რომ მოწამე არ დაისწროსო. . .

მსრე, ჩემო ბატონო, საომრათ ემზადებიან მეჯვრისხვევის საზოგადოების დაშები და კავალერები! ამ საქმეში არ ურევნიან თურმე ორიოდ—სამი აზნაურები და აზნაურის ცოლები, რომლებსაც ესმით, რომ ამ უგუნური საქმის შედეგათ უეჭველათ იქნება ორთავე მეომარებისათვის უსიამოვნო ამბავი. . .

თუ ომი შეგიძლიანთ, ბატონო მეჯვრისხვევლებო, ეომეთ იმ ზნეობითი საზიზღარს უბადრუკობას, რომელიც თქვენ ნელ-ნელა გზრამთ და გამახინჯებთ. მღონც ეს სიბნელე მოიშორეთ და მეჯვრისხვევის მასწავლებელს თქვენ მაგიერათ მე ვსცემ! იმისთვის კი არ დასწერეს თქვენზე ის კორარესპონდენცია, რომ თქვენთან შურის-ძიება ჰქონდეთ, რომ მართლა თქვენი დამცირება უნდოდეთ, რომ მუშუტის კრიეში გამოგითხოვონ; იმისთვის დასწერეს, რომ თქვენი ცული თვისებანი თვალ წინ დაეხატნათ, რომ ამის შემდეგ მოგესპოთ თქვენში ის ქცევა, რომელიც გაღარიბებთ, გამახინჯებთ. . .

აი რისთვისა სწერდნენ თქვენზედ. იოსებ ღამკვირებაძე

### ოპის უმედეგ

რუსეთი

მართს ფრანკთუხულ გაზეთში დაბეჭდილია ბათუმიდამ მიღებული დეპეშა, რომელიც გეაცნობებს, ვითომც ღერეიშ-ფაშას გამოცხადებინოს, რომ ბათუმიდამ მსმალოს ჯარების გაყენა და ამ ქალაქის დათმობა იმიტომ არ შემოიძლიანო, რომ ხალხის არეულობის მეშინიაო; დარწმუნებული ვარო, რომ გევალთუ არა აქედამ ჩემი ჯარებით, იმ წამსვე მთელი ბათუმის მაზრა ფეხზე ადგება და ბათუმში შემომაველ რუსებს გზაზე გადაუდებებანო.

ამ სიტყვების სიმართლეს სხვათა შორის ის დეპეშაც გვიტყობს, რომელიც ლონდონის გაზეთს (რუსეთის მომხრეს) „ღილი ნეუსს“ მოსვლია და რომელიც დღევანდელს ჩვენს გაზეთში იბეჭდება.

— „მარკოვის უწყებაში“ დაბეჭდილია სან-სტეფანოდამ მიღებული ტელეგრამა, რომელიც იწერებინა, რომ სახმელრო მთავრობამ გამოაძიება დანიშნაო იმ გარემოების თაობაზედაო, რომ გავლილს სამთარში შიპკის მთებში 6,000 (ექვსი ათასა) რუსის ჯარი დაიღუპა ყინვისაგანაო.

ამსტრია

შენიღამ მოვიდა ამბავი, რომ აესტ-

რიის იმპერატორს განზრახვა ჰქონდა იშლის მადნის წყლებზე წასულიყო, მაგრამ რადგან ბოსნიისა და მრცეგოვინის დაჭერის საქმე ერთობ დაიხლართა, ამის გამო ჯერ-ჯერობით ისეც ვენაში რჩებაო.

— დღევანდელს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი ტელეგრამა გეაცნობებს, რომ აესტრიის ჯარს დაუმარცხებია ბოსნიის აჯანყებულები. თუმცა ეს ასეა, მაგრამ აჯანყება ჯერ კიდევ არ დამშვიდებულია და სანამ აესტრია ბოსნიასა და მრცეგოვინას დაიჭერდეს თავის ჯარებით, ამ ქვეყნებში ბევრი უბრალო და ბრალიანის სისხლი დაიღვრება.

### განცხადება

ბერენშტამის წიგნის მალაზიაში, თფილისში, ბალაინის პროსპექტზე, ისპიდება რუსულს ენაზე დაწერილი წიგნი „ბატონ-ჰომოგის უფლება. საქართმე.“

ლოში“ („Крѣпостное Право въ Грузин“). თითო წიგნის მას. თუმთუბი მაშრია, გაგზავნით ოთხი აზაზი.

(3—3)

დაიპარბა პატარა ხელის საპ-მოიპ-ში საღანლოლის სტანციიდან „ლონდონის“ სასტუმრომდინ, რომელიც იმყოფება თფილისში, მიხაილოვის ხილზედ. მნახველს სთხოვენ წარუდგინოს ამ გასტინიცის პატრონს, რომლისთვის მიიღებს საჩუქარს 50 მანეთს (ხუთ თუმანს).

(3—3)

ვისაც ჰსურს მოიპოვოს ახალი კეპრი შეუძლიან მიჰმართოს ნ. ავალიდვილს, (ტუკიაში, მლისავეტინსკი-ქუჩაზე, № 108), რომელიც კისრულობს ამ კეერების გაკეთებინებას თავის ხელმძღვანელობით.

### ბიბლიოგრაფიული ცნობა

დაიბეჭდა და ისპიდება „პატარა ბიბლიო-

ტეკა“, წიგნი პირველი, რომელიც შეიცავს სამს საყმაწვილო მოთხრობასა, ი. ბოგებაშვილის რედაქციით.

ზასი ორი მაშრია, მაგრამ ეგზემპლიარი დაეთმობა რვა კაპეკათა სახალხო უკოლებს, როცა ერთათ იყიდინ ოც-და-ათ ეგზემპლიარსა ნაღდ ფულზედ და კერძო პირებს ასს ეგზემპლიარს თუ ერთათ წაიღებენ.

წიგნი ისყიდება გამომცემლის სოლომონ მართანოვის წიგნის მალაზიაში. (10—2)

### ორ-კლასიანი სასწავლებელი და პანსიონი ა. ჭიჭინაძის ქ. ქუთაისში.

ა). ყმაწვილები მიიღებიან 25 აგვისტოდამ დაწყებული 15-ს სექტემბრამდის. მინც დაიგვიანებს, უნდა გამოიცილოს; თუ არ ეცოდინა, რაც უკვე გაწლილი იქნება სასწავლებელში, არ მიიღება.

ბ). სწავლების ძირა მოსიარულე ყმაწვილს, რომელიც პირველ (მოსამზადებელ) კლასში იქნება მიღებული, გადახდება 50 მანეთი წელიწადში და მეორე კლასის (პირველს)—60 მანეთი.

პანსიონერს პირველი კლასისას გადახდება 250 მანეთი და მეორისას 260 მანეთი. პანსიონერს უნდა ექნეს თავისი: ტანისამოსი, ქვეშავე-ზედსახურავი, კრავატი და სასწავლო ნივთები.

გ). პანსიონში მიიღებიან მხოლოდ იმისთანა ყმაწვილები, რომელნიც ჰსწავლობენ ამ ორ-კლასიან სასწავლებელში. სხვა სასწავლებელთა ყმაწვილებისათვის ბინა არ იქნება.

დ). როგორც ძრისტეს შობის და აღდგომის დღესასწაულობისათვის, აგრეთვე საზაფხულოთ, როგორც სახელმწიფო სასწავლებლებშია, ყმაწვილები დათხოვნილი იქმნებიან; პანსიონერები საზაფხულოთ არ დაიტოვებიან პანსიონში.

ე). შემოაღნიშნული ქირილამ არ გამოირიცხება ული მისთვის, რომ ყმაწვილები აღნიშნულ დროებში დათხოვილები იქნებიან არც იმისთვის გამოირიცხება ფული, რომ ყმაწვილი ავითმყოფობის გამო ანუ სხვა მიზეზისა გამო კლასს დააკლდეს.

სწავლების ძირა უნდა იქნას შემოტანილი ნახევარ ფლოგიტ წინ-და-წინ: პირველი ნახევარი ყმაწვილის შემოყვანისა-თანავე, სექტემბერში, და მეორე ნახევარი—იანვარში. (5—4)